საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030144392277717

№ 01-240/მ **07 / სექტემბერი / 2017 წ.**

დ ა ვ ი თ ს ე რ გ ე ე ნ კ ო ს, ნ ი ნ ო ბ ე რ ძ უ ლ ი ს ა დ ა ს ო ფ ი კ ო ბ ე ლ ქ ა ნ ი ა ს მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლისა და 66-ე მუხლის შესაბამისად, უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული კომიტეტის 67-ე სესიაზე მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის 9 სექტემბრიდან 2017 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით (ხუთი დღის ვადით) უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში მივლინებულ იქნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - **დავით სერგეენკო,** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - **ნინო ბერძული** და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **სოფიკო ბელქანია.**

2. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აანაზღაუროს:
ა) სადღეღამისო, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეული ხარჯები;
ბ) **დავით სერგეენკოს და ნინო ბერძულის** სადღეღამისო ნორმის დანამატი.

საფუძველი: საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 6 სექტემბრის № 1/16957 და საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობები 2017 წლის 7 სექტემბრის №27701, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2017 წლის 5 სექტემბრის №01-19362 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი დავით სერგეენკო